ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპრულ სიმაღლის ძლევა, მიღწევა მოსდგამთ საბჭოთა ადამიანებს, გმირთა აკვანი იქ დაირწევა, სადაც მშვიდობის დროშა ფრიალებს!

ზეციური ძმები, საბჭოთა კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი (მარცხნივ) და პავლე პოპოვიჩი.

14 აგვისტო
შაბათი,
1962 წ.
№ 159 (2008)
გამოცემის 29-ე წელი
ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ნ. ს. ხრუშჩოვის რადიოგრამები

კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-3“ ამხანაგ ნიკოლაევს

ძვირფასო ანდრიან გრიგოლის-ძევ!

დიდი სიხარულით წავიკითხე თქვენი რადიოგრამა.

მთელი საბჭოთა ქვეყანა აღფრთოვანებითა და აღტაცებით ადევნებს თვალყურს თქვენს გაფრენას. ხალხი, პარტია ამაყობენ თქვენით. თქვენი გმირობა, კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთ-3“ გაფრენა, კვლავ განადიდებს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, მის ნიჭიერ და შრომისმოყვარე ხალხს, ჩვენს მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, კოლმეურნეებს.

სასიამოვნო იყო თქვენი ხმის მოსმენა და თქვენი დანახვა ტელევიზორის ეკრანზე. და თუმცა თქვენ იმყოფებით კოსმოსში უდიდეს მანძილზე დედამიწიდან, მაგრამ ჩვენმა შესანიშნავმა ტექნიკამ შესაძლებელი გახადა ძალიან ახლო დაგვენახეთ. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სულ ახლოს იყავით. ჩვენ გვესმოდა თქვენი მხნე ხმა, ვხედავდით ცოცხალ თვალებს, ხელების მოძრაობას, გიყურებდით როგორ მუშაობდით და გვიხარია, რომ თავს კარგად გრძნობთ.

მე გესაუბრეთ, როცა დედამიწას მეოთხედ უვლიდით, მაგრამ კიდევ ცოტა ასეთი შემოვლა როდი მოგველით. სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ნიკოლაევ, წარმატებით დაამთავროთ ფრენა და ბედნიერად დაბრუნდეთ დედამიწაზე. გისურვებთ მომავალშიც ჯანმრთელობას, კარგ განწყობილებას, მხნეობას.

დარწმუნებული ვარ, რომ მალე მე და ჩემი ამხანაგები — ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა დ მთავრობის წევრები — გადაგეხვევით ჩვენს საბჭოთა მიწაზე.

ნ. ხრუშჩოვი.

11 აგვისტო.

კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-4“ ამხანაგ პოპოვიჩს

ძვირფასო პავლე რომანის-ძევ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მოგილოცავთ შესანიშნავ გმირობას, რომელსაც თქვენ ახორციელებთ და განადიდებთ საბჭოთა ხალხს, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

თქვენ შეიჭერით კოსმოსურ სივრცეებში ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის კვალდაკვალ და მასთან ერთად აწარმოებთ ჯგუფურ ფრენას დედამიწის გარშემო. ამ გაფრენებით საბჭოთა კავშირი პირველი უკაფავს გზას ჯგუფურ გაფრენებს კოსმოსში.

ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა შექმნეს სრულყოფილი ტექნიკა, თქვენ კი, ისევე როგორც სხვა საბჭოთა კოსმონავტებმა, ჩინებულად აითვისეთ და უნარიანად იყენებთ ამ ტექნიკას. ყველა საბჭოთა ადამიანისათვის სასიამოვნოა შეიტყოს, რომ ხომალდები „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ დაუახლოვდნენ ერთმანეთს და დაამყარეს ურთიერთკავშირი.

საბჭოთა ადამიანები აღტაცებული არიან თქვენი გმირობით, საბჭოთა კოსმონავტების გმირობით.

როცა ტელეფონით გელაპარაკეთ, მოხარული ვიყავი მომესმინა, რომ თქვენ მხნედ ხართ და კარგად გრძნობთ თავს. გისურვებთ წარმატებით დაამთავროთ ფრენა და მშვიდობიანად დაეშვათ დედამიწაზე. მოგელით ჩვენს საბჭოთა მიწაზე, რათა გადაგეხვიოთ თქვენ და თქვენს ზეციურ ძმას ანდრიან გრიგოლის-ძეს და თქვენთან ერთად ვიზეიმოთ კოსმოსური გაფრენების დამთავრება.

ნ. ხრუშჩოვი.

12 აგვისტო.

ხომალდების სისტემები ჩინებულად მუშაობენ

მოსკოვი, კრემლი.

მოვახსენებთ საბჭოთა ხალხს,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს,
სსრ კავშირის მთავრობას,
ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

დავალების შესაბამისად ვიწყებთ ერთობლივ ჯგუფურ ფრენას ახლო მანძილზე. ხომალდებს შორის დამყარებულია საიმედო კავშირი. ხომალდების სისტემები ჩინებულად მუშაობენ.

საბჭოთა კოსმონავტები
ნიკოლაევი
პოპოვიჩი.

1962 წლის 12 აგვისტო, 12 საათი და 30 წუთი.

ვაშა კოსმოსის გმირებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მთავარია სიმშვიდე!"

რეაქტიულმა თვითმფრინავმა გაარღვია ღრუბლები და კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ. სამხრეთიდან ახლოვდებოდა ავდრის ღრუბლები. მათთან შეხვედრა მფრინავის გეგმებში არ შედიოდა, სასწავლო ამოცანა შესრულებული იყო და პილოტი ახლა უკვე ჩქარობდა მიწაზე დაშვებას. მოულოდნელად უხერხული სიჩუმე შემოიჭრა კაბინაში, შეწყდა ძრავის რიტმიული გუგუნი. რა მოხდა? არის თუ არა რაიმე გამოსავალი? სიმაღლე 6000 მეტრია, ესე იგი, შეიძლება ბრძოლა.

„მთავარია არ დაიბნე, მთავარია სიდინჯე". — რამდენიმეჯერ ხმამაღლა გაიმეორა პილოტმა. გონებაში გაიელვა მანქანის გადარჩენის რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტმა, ხოლო მომდევნო წუთში ხელები აკეთებდნენ იმას, რასაც ინსტრუქცია გულისხმობდა. თვითმფრინავმა პლანირებული ფრენა დაიწყო. ახლა უკვე შეიძლებოდა გვეცადა ძრავის გაშვება. პირველი ცდა ამაო გამოდგა, ამაო გამოდგა მეორეც. თვითმფრინავი სულ უფრო მეტად კარგავდა სიმაღლეს. თითქმის გაქრა აეროდრომამდე მიღწევის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა ასეთ მომენტში შეიძლება პარაშუტის გამოყენება. მაგრამ მანქანა? არა, პილოტს არ შეუძლია მიატოვოს მანქანა.

ჰაერიდან იწყება დაძაბული ბრძოლის წუთები. დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდა მფრინავს ანდრიან ნიკოლაევს, რომ გაესწორებინა თვითმფრინავი და დამჯდარიყო კოლმეურნეობის მინდორზე. როგორი ვაჟკაცობა, გამბედაობა, სწრაფი რეაქცია უნდა გქონდეს, რომ დასვა რეაქტიული გამანადგურებელი უცნობ და მოუმზადებელ მოედანზე.

...გვიან, როდესაც ნიკოლაევს თავდაჯერობისა და საფრენოსნო ოსტატობისათვის გადასცეს ჯილდო— საათი — ნაწილის უფროსმა ჰკითხა:

—როგორ მოახერხეთ ასეთ ძნელ პირობებში სწორი ორიენტირება და გაბედული გადაწყვეტილების მიღება?

— დამეხმარა მანქანის ცოდნა და სპორტში მეცადინეობა.—უპასუხა ანდრიანმა.

ანდრიანე ნიკოლაევმა სპორტში მეცადინეობა ბავშვობის წლებში დაიწყო. ცხოვრობდა იგი მაშინ სოფელ შორშელში, ჩუვაშეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და როგორც ბევრი თანატოლი, იგიც დაუღალავად თამაშობდა ფეხბურთს, დარბოდა, ცურაობდა და ყვინთავდა. ცხელ ამინდში იგი მთელ დღეს მდინარის ნაპირზე ატარებდა. მაგრამ იყო სპორტის ერთი სახეობა, რომელსაც ანდრიანი უპირატესობას მაინც ანიჭებდა. ეს იყო თხილამურები. მისდამი სიყვარული ანდრიანს ჩაესახა სკოლაში. გარდა ამისა იგი ბევრს ნადირობდა და გატაცებული იყო თევზის ჭერით. უნდა ითქვას, რომ ეს სიყვარული მას დღევანდლამდე შემორჩა. მას უყვარს ანკესით მდინარის ან ტბის პირას ჯდომა. თხილამურებით სრიალმა და ნადირობამ ანდრიანს გამოუმუშავა გამძლეობა, თავდაჯერილობა და მიზანსწრაფვა.

1944 წელს ა. ნიკოლაევი შედის სატყეო ტექნიკუმში. აქ იგი განაგრძობს თავისი სპორტული ოსტატობის სრულყოფას და ხშირად მონაწილეობს მძლეოსანთა და მოთხილამურეთა შეჯიბრებაში.

1947 წელს ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ანდრიან ნიკოლაევი გაანაწილეს კარელიაში. ძნელი იყო ახალგაზრდა ოსტატისათვის მუშაობის პირველი დღეები. სამუშაოთა უმრავლესობას იგი ხელით ასრულებდა. ამას კი ჭირდებოდა დიდი ფიზიკური ძალა და გამძლეობა. შრომაში ვაჟკაცდებოდა ა. ნიკოლაევის ხასიათი. მუშაობასთან ერთად იგი არ ივიწყებდა სპორტს. ზამთრობით მთელ თავისუფალ დროს ანდრიანი თხილამურებზე ატარებდა, ზაფხულობით კი — ტყეში სეირნობდა.

გავიდა სამი წელი. დადგა არმიაში გაწვევის დრო. სამხედრო კომისარიატში შეკითხვაზე, თუ სად ჰქონდა მას წასვლის სურვილი, ანდრიანმა უყოყმანოდ განაცხადა — ავიაციაში! ავიაციამ ჯერ კიდევ ბავშვობაში მოხიბლა ნიკოლაევი. მას მოსწონდა შორი გზებისა და დიდ სისწრაფეთა რომანტიკა.

ანდრიანის ოცნება განხორციელდა. იგი გააგზავნეს საჰაერო მსროლელთა კურსებზე. სპორტში მეცადინეობა და ყოველდღიური დილის გამამხნევებელი ვარჯიში სამხედრო სამსახურის განუყოფელი ნაწილია. არმიაში ნიკოლაევი რეგულარულად მონაწილეობდა მძლეოსანთა შეჯიბრებებში. მას არც თუ ისე ცუდი მაჩვენებლები ჰქონდა მოკლე მანძილებზე რბენაში, არ მიატოვა მან არც სათხილამურო სპორტი და მაინც მისი საყვარელი სახეობა გახდა ტანვარჯიში.

მალე ნიკოლაევი ჩაეწერა ტანვარჯიშის სექციაში და დაიწყო რეგულარული წვრთნა. დაძაბულმა შრომამ არ ჩაიარა უნაყოფოდ. სასწავლებლის პირველობაზე მან დაიკავა მეორე ადგილი და შეასრულა სათანრიგო მოთხოვნა.

საავიაციო ნაწილში, სადაც გააგზავნეს ახალგაზრდა ოფიცერი, ნიკოლაევი განაგრძობდა სპორტში მეცადინეობას. აქ მან კარგ წარმატებებს მიაღწია. ერთხელ ფრენის დამთავრების შემდეგ იგი გამოიძახა ნაწილის უფროსმა, მის გვერდით იჯდა ანდრიანისათვის უცნობი ოფიცერი.

—ჩვენ გვაქვს ერთი აზრი.—განაცხადა უფროსმა,—ხომ არ გსურს გამოსცადო ძალები ახალ დიდ საქმეში?

— რომელში?—ინტერესით იკითხა ნიკოლაევმა.

—ვთქვათ დიდი სისწრაფით ზეგრძელ დისტანციებზე ფრენაში?

— თანახმა ვარ! — მტკიცედ უპასუხა ანდრიანმა.

— სპორტში თქვენ რეგულარულად მეცადინეობთ?

— დიახ!

— მაშინ გამოგვადგებით.

ალბათ, გაზეთის ბევრ მკითხველს უნახავს კინოფილმი „პირველი რეისი ვარსკვლავებისაკენ" და წარმოუდგენია თუ როგორი მკაცრი იყო კოსმონავტთა კანდიდატების შერჩევა. ა. ნიკოლაევმა სამედიცინო კომისიის ყველა მოთხოვნა შეასრულა.

ანდრიანმა კარგად იცოდა, რომ პირველ კოსმიურ გაფრენაში შეირჩეოდა საუკეთესოთა შორის საუკეთესო და რომ მათი ძირითადი საზომი იქნებოდა ფიზიკური მომზადება. სწორედ ამიტომ ნიკოლაევმა კოსმოსური გაფრენისათვის მზადებისას დიდი ადგილი დაუთმო მეცადინეობას სპორტულ მოედანზე და სპეციალურ აპარატურებზე. ა. ნიკოლაევის აზრით, კოსმონავტი ფიზიკურად ყოველმხრივ უნდა იყოს მომზადებული. ამისათვის კი მას ესაჭიროება სპორტის სხვადასხვა სახეობებში მეცადინეობა. ამასთან არ უნდა დაისახო მიზნად მაღალი შედეგების ჩვენება ერთ რომელიმე სახეობაში მეორის ხარჯზე, რადგან ყველა ისინი ხელს უწყობენ საჭირო ფიზიკურ ჩვევათა გამომუშავებას.

ბევრს მეცადინეობდა ა. ნიკოლაევი მძლეოსნობაში, კერძოდ კი საშუალო და გრძელ დისტანციებზე რბენაში, აგრეთვე ველორბოლაში, თხილამურებში, ჰოკეიში, ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, წყალში ხტომებში, ცურვასა და კალათბურთში. უყვარდა ანდრიანს ფეხბურთიც. მას ხშირად ნახავდით სტადიონის მწვანე მინდორზე, ხშირი სტუმარი იყო იგი აგრეთვე მოსკოვის სტადიონებისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არმიელთა გუნდი ცსკა თამაშობს. ანდრიანი ხომ მათი დაუღალავი გულშემატკივარია.

ყველაფერი, რასაც მიაღწია მაიორმა ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევმა კოსმოსში გაფრენის წინ, არის ბეჯითი სწავლისა და დიდი შრომის ნაყოფი. მიზანსწრაფვა და ნებისყოფა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, მისი ხასიათის მთავარი თვისებაა. ადვილი არ უნდა იყოს 32 წლის ასაკში ადამიანისათვის პირველად 5-მეტრიან კოშკზე ზურგით წყლისკენ დგომა, ნახევარბრუნით მშვიდად ვარდნა და შემდეგ წყალში თავით ჩახტომა. დიდხანს მას ეს ილეთი არ გამოდიოდა, მაგრამ იგი უკან არ იხევდა. ხელმძღვანელის შენიშვნების შემდეგ იგი ხელახლა მიძვრებოდა კოშკზე, ხოლო როდესაც ჩათვლების დრო მოახლოვდა, ანდრიანმა წყალში ხტომაში მიიღო დამსახურებული ხუთიანი.

სახელმწიფო გამოცდებზე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ანდრიანს მიუთითა რაღაც ხელსაწყოზე და ჰკითხა: როგორ მოიქცევით, თუ ეს ხელსაწყო უარს გეტყვით მუშაობაში?

— მთავარია სიმშვიდე! არ უნდა დაიბნე! — უპასუხა კომუნისტმა ნიკოლაევმა თავისი საყვარელი ფრაზით და შემდეგ კომისიას ზუსტად აუწერა თავის გადაწყვეტილებათა გეგმა.

ვ. მიხაილოვი,

ფ. ვალენტინოვი,

„სოვეტსკი სპორტი".



ჩვენი სახელოვანი კოსმონავტების გმირობა, რომელმაც განაცვიფრა მთელი მსოფლიო, მათი მაღალი მორალურ-ნებელობითი თვისებები სპორტული და ფიზკულტურული წრთობის ბრძმედშიცაა გამოჭედილი. ა. ნიკოლაევიც და პ. პოპოვიჩიც მრავალმხრივი სპორტსმენები არიან.

სურათებზე: ზევით — ა. ნიკოლაევი ველოსიპედით რბოლის შემდეგ. ქვევით — პ. პოპოვიჩი თხილამურებზე.



გული სიხარულს ვერ იტევს

ქართველი სპორტსმენები აღფრთოვანა კოსმოსის დამპყრობთა ახალმა გმირობამ. კოსმოსში მხარდამხარ, ლაღად დაფრინავენ გმირი საბჭოთა მოქალაქეები მაიორი ა. ნიკოლაევი და პოდპოლკოვნიკი პ. პოპოვიჩი. ჩვენი გულები სიხარულს ვერ იტევს, ვამაყობთ საბჭოთა შევარდნების ისტორიული წარმატებით.

გულით და სულით გილოცავთ, გმირო კოსმონავტებო! გზა მშვიდობისა და მშვიდობით დაბრუნება მშობლიურ საბჭოთა მიწაზე! ვაშა საბჭოთა შევარდნებს!

ნ. დუმბაძე, გ. კარტოზია, ვ. ბალავაძე, რ. შაველაშაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატები.



კვირას კოჯრის სპორტულ ბანაკში დიდი გამოცოცხლება იყო. ნორჩებმა ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმი მოაწყეს. ზეიმის პროგრამაში იყო იარაღებზე ვარჯიში, თავისუფალი და აკრობატული ვარჯიშები. ზეიმის დასასრულს პიონერებმა მხატვრული თვითმოქმედება აჩვენეს.

კოჯრის ტანვარჯიშული ბანაკი ჯერჯერობით ერთადერთია საბჭოთა კავშირში. აქ პედაგოგებად მუშაობენ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, რომლებიც ძალას არ ზოგავენ იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად დაისვენონ და სპორტულ ოსტატობას მიაღწიონ.

სურათზე: სპორტული ზეიმის დროს ბავშვებმა წარმოადგინეს ჯგუფური ვარჯიში, რომლის ფინალი დამთავრდა შესანიშნავად — მოედანზე გამოსახეს პირველი კოსმონავტის — გაგარინის გვარი.

ფოტო და ტექსტი მ. ზარგარიანისა.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 აგვისტოსათვის

11 ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	13	6	4	3	29—14	16
„დინამო“ (მოსკოვი)	13	6	4	3	18—11	16
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	13	5	6	2	16—12	16
„დინამო“ (თბილისი)	13	5	5	3	15—11	15
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	12	6	2	4	27—17	14
„ბელარუსი“ (მინსკი)	14	5	3	6	12—14	13
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	14	3	6	5	17—19	12
„დინამო“ (ლენინგრადი)	13	4	4	5	9—22	12
„ტორპედო“ (ქუთაისი)	13	3	5	5	16—22	11
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	13	4	2	7	10—20	10
„კრ. ხოვეტოვი“ (კუიბიშევი)	13	3	3	7	14—21	9

• • •

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ „ა“ კლასის II ქვეჯგუფის გუნდები „დინამო“ (ლენინგრადი) და „კრ. ხოვეტოვი“ (კუიბიშევი).

ლენინგრადელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:1.

ფეხბურთი

განვლილ კვირას საქართველოს გუნდებმა, რომლებიც მონაწილეობენ სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონაში, ჩაატარეს მორიგი ტურის მატჩები.

ფოთის „კოლხიდა“ თამაშობდა ქ. ჩირჩიკში, ადგილობრივი „ხიმიკის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდნენ ტაშკენტის ოლქის გუნდი „პახტაკორი“ და ბათუმის „დინამო“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:0.

ფრუნზეში შედგა მატჩი ადგილობრივ „ალგასა“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-„ხიმიკი“ (მოგილევი) — 3:0.

12 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. თბილისის „ლოკომოტივი“ შეხვდა მოგილევის „ხიმიკს“.

მატჩის პირველივე წუთებიდან ნათელი იყო მასპინძელთა სრული უპირატესობა. ისინი თამაშობდნენ კომბინაციურად, გაშლილად, კარგი ურთიერთმოქმედებით. ამ შეთანხმებულ იერიშებს მალე მოჰყვა ლოგიკური დასასრულიც და ურთქმელიძემ გახსნა ანგარიში — 1:0. ცოტა ხანს შემდეგ იმავე ურთქმელიძემ კიდევ ერთხელ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში და უკვე შესვენებისათვის „ლოკომოტივი“ წინ იყო ანგარიშით 2:0.

მეორე ტაიმში სურათი საგრძნობლად შეიცვალა. „ხიმიკმა“ გააძლიერა თამაში და რამდენიმე მომენტიც შექმნა რკინიგზელთა კართან. ამგვარი შესაძლებლობანი ჰქონდათ თბილისელებსაც, მაგრამ მათი თამაში შესვენების შემდეგ გაცილებით უფრო უფერული იყო, ვიდრე პირველ ტაიმში.

თამაშის დამთავრებას მცირე დრო უკლდა, როცა მოგილეველთა კართან დაინიშნა საჯარიმო. იაშვილმა ზუსტად გაუგორა ბურთი ნახევარმცველ ზაქარეიშვილს და ამ უკანასკნელის დარტყმამ მიაღწია მიზანს — 3:0.

ა. ნადირაძე

კალათბურთი

ტტტ კვლავ ჩემპიონია

მას შემდეგ, რაც რიგის ტრამვაი - ტროლეიბუსების ტრესტის კალათბურთელთა გუნდმა ანგარიშით 45:36 დაამარცხა ნოვოსიბირსკის „სიბირიაჩკა“, სსრ კავშირის ჩემპიონის ბედი ფაქტიურად გადაწყდა. ლატვიელმა კალათბურთელებმა დააგროვეს 17 ქულა და პრაქტიკულად გაინაღდეს პირველი ადგილი.

რიგელებმა მესამედ ზედიზედ მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის უძლიერესი საკლუბო კოლექტივის სახელი. გამარჯვებული გუნდი ჩემპიონატში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ს. სმილძინია, ს. კროდერე (რავდონე), ი. კრაუკლე, ჰ. ჰეპტა, ლ. ალტბერგა, რ. კარლსონე, ს. ვოლბეტა (მარტინოვა), ა. რიმბნიეცე, ი. კალნინია, ძ. კარამიშევა, ა. ბლუმა (სტრუპოვიჩა), ი. ავსე. მწვრთნელი ო. ალტბერგი.

არმიელ კალათბურთელებს — ოქროს მედლები

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატზე გაიმართა რამდენიმე კალენდარული შეხვედრა.

კიევში თამაშობდნენ ადგილობრივი სკა და თბილისის „ბურევესტნიკი“. მატჩის პირველი ნახევარი მოიგეს მასპინძლებმა—32:25. შესვენების შემდეგ თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 55:54.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო ვ. ლომაძე — 17 ქულა, კიევის გუნდში კი ი. ჩეჩურა — 18 ქულა.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი სკა და თბილისის „დინამო“. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 69:61 (28:34).

ერთმანეთს შეხვდნენ სვერდლოვსკის „ურალმაში“ და ლენინგრადის „სპარტაკი“. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 58:47.

თავისი უკანასკნელი მატჩი ჩაატარა მოსკოვის ცსკა-მ, მან დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 88:58 და მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა საპატიო ტიტული.

• • •

გათამაშების ცხრილი

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა მოსკოვი	22	20	2	20
სკა რიგა	21	18	3	18
„სტროიტ.“ კიევი	20	14	6	14
„დინამო“ თბ.	16	12	4	12
„სპარტაკი“ ლდ.	21	12	9	12
„დინამო“ მოსკ.	22	12	10	12
ვეფი რიგა	19	9	10	9
„ურალმაში“ სვ.	19	7	12	7
„კალევი“ ტარტუ	20	7	13	7
სკა კიევი	21	6	15	6
„ბურ“. თბილისი	18	2	16	2
სკა ლენინგრადი	21	2	19	2

ვმატჩი — ვფრე

11 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავიანთი ბოლო მატჩი ჩაატარეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ქ. კარლსრუეში ისინი შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს — „კარლსრუეს“, რომელიც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება თავის ქვეყანაში.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს მატჩი: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, იამანიძე, კალოევი (ხუნდაძე), ბარქაია, მესხი (მელაშვილი).

პირველ ტაიმში ბრძოლას თანაბარი ხასიათი ჰქონდა და დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ, მე-10 წუთზე ბარქაიამ ზუსტად გამოიყენა იამანიძის გადაცემა და გახსნა ანგარიში — 1:0. თბილისელებმა ეს ბურთი შეინარჩუნეს 89-ე წუთამდე, მაგრამ მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას აკლდა 30 წამი, ხურცილავამ და ლეჟავამ ცუდად გაითამაშეს ბურთი კარის სიახლოვეს, ლეჟავამ ვერ შეძლო შეეჩერებინა ბურთი ხელში და გერმანელებმა დაუყოვნებლივ გამოიყენეს ეს უხეში შეცდომა — 1:1.

გათამაშებული ოქროს მედლები

11 აგვისტოს მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო საბჭოთა კავშირის XXXIV პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის 800-ზე მეტი საუკეთესო სპორტსმენი.

შეჯიბრების პირველ დღეს გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლის 8 მფლობელი. 10000 მეტრზე რბენაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი პ. ბოლოტნიკოვი, რომელმაც მანძილი 28 წუთსა 18,2 წამში დაფარა, რაც 0,6 წამით უმჯობესია მისსავე მსოფლიო რეკორდზე. არმიელი სპორტსმენი ვ. ბაიკოვი პირველი იყო მარათონულ დისტანციაზე (42 კმ 195 მეტრი). მისი დროა 2:19.17,8.

მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელმა იერიში მიიტანა 227 სანტიმეტრზე, რათა 1 სანტიმეტრით აეწია რეკორდის ჭერი, მაგრამ სამივე ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამის მიუხედავად მან ჩემპიონობა მაინც მოიპოვა — 222 სმ. წარმატებას მიაღწია ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. შავლაყაძემ, რომელმაც დაძლია 212 სანტიმეტრი და ვერცხლის მედალი მოიპოვა, სამხტომში გაიმარჯვა მინსკელმა ვ. გორიაევმა საკმაოდ მაღალი შედეგით — 16 მეტრი 61 სანტიმეტრი. შუბის ტყორცნაში ქალთა შორის პირველი იყო მსოფლიო რეკორდსმენი ე. ოზოლინა — 55 მეტრი 35 სანტიმეტრი. ბირთვის მკვრელ ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ვ. ლიპსნისი — 18 მეტრი 32 სანტიმეტრი, სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის —მსოფლიო რეკორდსმენი ტ. შჩელკანოვა — 637 სმ. 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენა მოიგო ერევნელმა ა. კონოვმა — 8 წუთი 36,2 წამი.

გათამაშების მეორე დღეს კიდევ 8 ჩემპიონი გამოვლინდა. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში პირველი იყო კლიმოვი — 4:04. 32,8. ბადროს მტყორცნელ ვაჟთა შორის — ვ. ტრუსენევი — 58 მეტრი 57 სანტიმეტრი. ჭოკით ხტომაში ერთნაირი შედეგით — 460 სანტიმეტრი — ასპარეზობა დაამთავრა ორმა სპორტსმენმა — ი. პეტრენკომ და ი. კრასოვსკისმა. პირველი ადგილი და ჩემპიონის ოქროს მედალი ი. პეტრენკოს მიეკუთვნა, რადგან მან უფრო ნაკლებ ცდაში დაძლია სიმაღლე, ვიდრე მისმა მეტოქემ. სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის ტოლი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს ი. ტერ-ოვანესიანს — 789 სანტიმეტრი.

80 მეტრი თარჯრბენი მოიგო გორკელმა რ. კოშელევამ — 11,2 წამი. 100 მეტრზე რბენაში ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა მ. იტკინამ — 11,8 წამი. ამ დისტანციაზე ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლენინგრადელმა ე. ოზოლინმა — 10,5 წამი. ბირთვის კვრაში ქალთა შორის უკონკურენციოდ ჩემპიონი გახდა მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი თ. პრესი — 17 მეტრი 50 სანტიმეტრი. მრავალჭიდელ ქალთა და ვაჟთა შორის პირველი დღის პროგრამის შემდეგ ლიდერობენ ლ. შმაკოვა —4.843 ქულა და ვ. კუზნეცოვი — 4.289 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ი. დიაჩკოვი 4.112 ქულით ჯერჯერობით მესამე ადგილზეა.

შეჯიბრება გუშინ დამთავრდა.

სურათზე: მსოფლიო რეკორდსმენი პ. ბოლოტნიკოვი დისტანციაზე.

Სულეიმან ალი ნასმუში დაიბადა 1943 წელს. 19 წლის ახალგაზრდამ მიიქცია საყოველთაო ყურადღება თავისი არნახული სიმაღლით — 2 მ 47 სმ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სულეიმანი კატასტროფულად იზრდება და სულ მალე გადააბიჯებს 2 მ 50 სმ ზღვარს.

გოლიათს გამოუჩნდა ამკუნი — იტალიელი მენაჯერები, რომლებმაც სულეიმანი რომში საექიმოდ ჩამოიყვანეს და პარალელურად დააწყებინეს ვარჯიში კალათბურთში.

რაიმე წარმატებაზე ფიქრი ჯერ ზედმეტია, რადგან სულეიმანი გადის კლინიკურ გამოკვლევათა ციკლს, მაგრამ მისი მენაჯერები (რომლებსაც თქვენ სურათზე გოლიათის გვერდით ხედავთ) არ კარგავენ რწმენას იმაში, რომ მისი გამოყენება შეიძლება კალათბურთში.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ ᲑᲔᲠᲜᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲓᲐᲜ

საგზატკეცილო ველომრბოლელთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც იტალიაში გაიმართება, საბჭოთა კავშირის ღირსებას ალბათ დაიცავს „ძველი საველოსიპედო გვარდია". ე. ი. ისინი, ვინც უკანასკნელ რომის ოლიმპიურ თამაშებში „გამოჩარხეს ფანჯარა ევროპისაკენ" და საბჭოთა კავშირი ჩარიცხეს „საველოსიპედო სახელმწიფოთა" შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ განიცადეს დამარცხება 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შვეიცარიაში. ამჟამად ჯერ კიდევ ადრეა ლაპარაკი ჩვენი გუნდის ზუსტ შემადგენლობაზე, რომელიც გაემგზავრება იტალიაში, მაგრამ გარკვეულებით ნაწილი პრეტენდენტების დასახელება შეიძლება. ესენი არიან — ა. პეტროვი, ი. მელიხოვი, გ. საიდხუჟინი, ოლიმპიური ჩემპიონი ვ. კაპიტონოვი, ა. ჩერეპოვიჩი, ე. კლევცოვი. ყველა ჩამოთვლილი, კლევცოვის გარდა, ბერნის გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა.

ამიტომ საფსებით მართებულია კითხვა: შეძლებს თუ არა ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაც არსებითად არ შეცვლილა, გამოვიდეს უფრო წარმატებით იტალიაში, ვიდრე შვეიცარიაში?

პასუხისათვის უნდა გავიხსენოთ ბერნში დამარცხების მიზეზები. ჩემპიონატის დამთავრების მეორე დღეს საბჭოთა გუნდის კრებაზე გამოსული ველოსიპედისტები ერთხმად ამბობდნენ, რომ გადამწყვეტი სტარტის წინ მათ აქტივში იყო მხოლოდ ორად-ორი შეჯიბრება, იმ დროს, როდესაც მოწინააღმდეგენი თითქმის ყოველ კვირას გამოდიოდნენ შეჯიბრებებზე. შეჯიბრებას ვერ შეცვლის ვერავითარი ინტენსიური ვარჯიში და „საშეჯიბრებო შიმშილობის" შედეგად ჩვენმა სპორტსმენებმა ვერ გაართვეს თავი იმ მაღალ ტემპს, რომელიც შენარჩუნებულ იქნა დისტანციის მთელ მანძილზე (181,5 კმ). ძალები ეყოთ მხოლოდ იმისათვის, რომ ძირითად ჯგუფში „ჩამჯდარიყვნენ". რაიმე აქტიურ მოქმედებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

დადგა ახალი სეზონი და მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების გეგმა ისე იქნა შედგენილი, რომ ამჯერად ჩვენი ველომრბოლელების „საშეჯიბრებო მოთხოვნილებები" დაკმაყოფილებულიყო. მას შემდეგ, რაც ბრწყინვალედ იქნა მოგებული მშვიდობის ველორბოლა (სხვათაშორის, როგორც გასულ წელს), ერთგვარი წვრთნის პერიოდის შემდეგ ჩვენმა უძლიერესმა სპორტსმენებმა გაიარეს რბოლათა მთელი სერია, რომელიც ამას წინათ კაუნასში შედგა. დასაწყისში პაექრობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მრბოლელები, ხოლო შემდეგ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმაც პოლონეთიდან, რუმინეთიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. აღნიშნული რბოლები წარმოადგენენ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების იმ ძირითად რგოლს, რომელიც ჩვენ ველოსიპედისტებს არ ჰქონდათ ბერნის წინ.

მაგრამ ეს შეჯიბრებები როდი წარმოადგენენ მხოლოდ აუცილებელ ეტაპს ჩემპიონატისათვის მზადების საქმეში. მათ აგრეთვე მოგვცეს ჩვენი საუკეთესო ველომრბოლელების „პრეტენზიათა გადასინჯვის" საშუალება და სსრ კავშირის ნაკრები გუნდის საორიენტაციო შემადგენლობის დადგენა.

კაუნასის სტარტების შედეგები ცნობილია. ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრებებზე ინდივიდუალური რბოლა (საშუალედო სტარტით) 50 კმ დისტანციაზე მოიგო პეტროვმა შედეგით — 1:11.34, ხოლო ჯგუფური (147 კმ და 150 მ) — მელიხოვმა — 3:48.53.

ჯგუფურ რბოლაში, სადაც საზღვარგარეთელი სტუმრებიც მონაწილეობდნენ, გამარჯვა გ. ლებედევმა — 3:39.50 (მეორე იყო პეტროვი), კაუნასის ქუჩებში გამართულ საშუალედო ფინიშებით რბოლაში (97 კმ) საუკეთესო იყო საიდხუჟინი (მომდევნო ადგილებზე იყვნენ პეტროვი და კაპიტონოვი), და ბოლოს, გუნდურ რბოლაში ყველაზე კარგი დრო აჩვენა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კოლექტივმა — კაპიტონოვის, კლევცოვის, მელიხოვისა და პეტროვის შემადგენლობით.

მაშასადამე, ობიექტური მონაცემები ლაპარაკობენ „ძველი გვარდიის" სასარგებლოდ. ხოლო თუ დავეყრდნობით აღნიშნულ შეჯიბრებათა სანახაობით შთაბეჭდილებებს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საგზატკეცილო რბოლის წამყვან ოსტატებს ჯერჯერობით სერიოზული კონკურენტები არა ჰყავთ (საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში გამარჯვებულ ანტს ვიარავასის გამოკლებით). ყველა ისინი გამოირჩევიან შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით, მზარდი ტაქტიკური ოსტატობით, რაც ველოსპორტში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

განვლილ შეჯიბრებებზე თავისი შთაბეჭდილებების გაზიარებისას მშვიდობის ველორბოლის მიმდინარე წლის ჩემპიონმა გ. საიდხუჟინმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პეტროვისა და მელიხოვის გამოსვლებს. ისინი კაუნასის ტრასებზე საუკეთესონი იყვნენ.

ჩვენი წამყვანი სპორტსმენების უპირატესობა სტუმრებზეც იგრძნობოდა. მართალია, გერმანელი სპორტსმენები წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ ახალგაზრდობით, როგორც თვითონვე ამბობდნენ, „მომავალი ოლიმპიური გუნდით", მაგრამ მათ საუკეთესო თვისებები გამოავლინეს და დრო, რომელიც მათ გუნდური რბოლის პირველ ეტაპზე აჩვენეს, მიუღწეველი დარჩა. რუმინელებმა თავიანთი საბრძოლო შემადგენლობა აღნიშნულ შეჯიბრებებზე ერთგვარად „გალესეს", ის შემადგენლობა, რომელიც ალბათ მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება, მაგრამ კაუნასში მას რაიმე კონკურენციისათვის არ მიუღწევია. იგივე ითქმის პოლონელებზეც.

სამწუხაროდ, საბჭოთა სპორტსმენებმა ვერ შესძლეს თავიანთ ძირითად კონკურენტებთან — იტალიელებთან, ფრანგებთან და ბელგიელებთან ძალების გამოცდა. და მაინც, შეხვედრები კაუნასის ტრასებზე უფლებას გვაძლევენ ოპტიმისტურად ვიფიქროთ მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებზე.

ჩვენი წამყვანი ველომრბოლელები კარგ ფორმაში იმყოფებიან. ამას მოწმობს კანადაში დამთავრებული ველორბოლაც, სადაც როგორც პირად (ა. პეტროვი), ისე გუნდურ შეჯიბრებაში, საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწიეს და პირველი ადგილები დაიკავეს.

დარჩა კიდევ ერთი საწვრთნელი ეტაპი — მოსკოვის შესარჩევი რბოლა და საბჭოთა გუნდი მზად იქნება მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

ი. ოლგინი

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

მოსკოვში დაიწყო გროსმაისტერების პ. კერესისა და ე. გელერის საჭადრაკო მატჩი. პირველი ტურის პარტიაში გელერმა უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ იგი არ დამთავრებულა, გადაიდო. გადადებული პარტიის გათამაშებისას კერესმა მოახერხა პარტიის საყაიმო მდგომარეობამდე მიყვანა. ამგვარად, I პარტიაში აღინიშნა ფრე. გუშინ შედგა მეორე ტური.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ („Ა" ᲙᲚᲐᲡᲘ)

ფეხბურთი

„დინამო" (თბილისი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი)

15 აგვისტო — დუბლშემადგენლობა.

16 აგვისტო — ძირითადი შემადგენლობა.

დასაწყისი 18 საათზე.

ᲒᲣᲜᲓᲨᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ

საქართველოს სპორტული საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე საკითხების კომისიამ ამას წინათ თავის სხდომაზე იმსჯელა ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში ცალკეული ფეხბურთელების მიერ რეჟიმის, დისციპლინის დარღვევისა და მაგარი სასმელების მიღების შესახებ.

კომისიამ მიაჩნია, რომ საჭიროა დროზე იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამიტომ დაადგინა: გუნდის კაპიტანი ე. თორაძე, რომელიც სუსტად იბრძვის გუნდში დისციპლინის დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ და ზოგ შემთხვევაში თვითონ არღვევს დისციპლინას, მოიხსნას გუნდის კაპიტნობიდან და კატეგორიულად გაფრთხილებულ იქნას, თუ შემდეგში კიდევ დაუშვებს დისციპლინის დარღვევის ფაქტს, გარიცხულ იქნება გუნდიდან და აეკრძალება ფეხბურთის თამაში სამუდამოდ. გუნდის წევრი ე. სირაძე ორი წლით პირობით დისკვალიფიცირებულია, ხოლო გ. ლეჟავა — 1962 წლის ბოლომდე.

კომისიამ დაავალა ქუთაისის სპორტკავშირს გუნდის საერთო კრებაზე განიხილოს ეს საკითხი და გუნდის ხელმძღვანელობასთან და ფეხბურთის საქალაქო სექციასთან ერთად დასახოს ღონისძიებანი დისციპლინისა და კოლექტივის მონოლითურობის აღსადგენად.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

კრემენჩუგი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). „ა" და „ბ" კლასების კოლექტივებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო გათამაშების მორიგ ტურში თბილისის გუნდი შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს".

თამაშის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუცია — 0:0. შესვენების შემდეგ მოსკოველებმა 3 „მშრალი" ბურთი გაიტანეს და 3:0 ანგარიშით მოიგეს შეხვედრა.

გ. ბაქანიძე

რედაქტორი ი. უზულაშვილი.

15–16 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05769